

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები:
 - „ი) განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
 - კ) განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.“.
2. 39-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:
 - „ე) განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ – 50 ლარი;
 - ვ) განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 200 ლარი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 2000 ლარი.“.
3. 90-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შესაძე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება გასაჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად.“.
4. 192-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ასეთ შემთხვევაში სასამართლო დანიშნავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.“.
5. 194-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა იმავე საგანზე იმავე საფუძვლით დაუშვებელია. უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი ხუთ დღეში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება უარის თქმის შესახებ განჩინების მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტიდან.“.
6. 216-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ ეტაპიდან, რომელზედაც მოხდა მისი შეჩერება.“.

7. 262-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადაწყვეტილების გამოშტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ აღსრულებული არ არის და თუ არ გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია განმარტების საკითხი გადაწყვეტოს სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში ხდება მხარეთათვის შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.“.

8. 305-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებელს დაუნიშნოს ვადა განცხადებაში ან თანდართულ მასალებში არსებული ხარვეზის შესავსებად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

